# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060103018598715

## ბრძანება №-46

**ქ. თბილისი** **26 / იანვარი / 2015 წ.**

### შპს „გლგ კომპანი“-ს გაჯის წარმოებაზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24–ე მუხლის მე–4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „გლგ კომპანი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფ. გამარჯვებაში გაჯის წარმოებაზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა);
2. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „გლგ კომპანი“-მ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№3; 22.01.2015წ.) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „გოგოჭური და კომპანია“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „გლგ კომპანი“-ზე გადაცემის შესახებ” მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №ი-823 ბრძანება;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გლგ კომპანი“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გლგ კომპანი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; შპს „გლგ კომპანი“-ს წერილი №01/01; 08.01.2015წ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №3; 22.01.2015წ.

მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

# ეკოლოგიური ექსპერტიზის

# დასკვნა პროექტზე

№3

22 იანვარი 2015წ.

## I. საერთო მონაცემები

1. **საქმიანობის დასახელება** – გაჯის წარმოება (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა)
2. **საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი** – შპს „გლგ კომპანი". საქართველო, გარდაბანი, სოფ. გამარჯვება
3. **საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა** – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება
4. **განაცხადის შემოსვლის თარიღი** – 08.01.2015 წ.
5. **მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ** – შპს „გლგ კომპანი"

# II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, შპს „გლგ კომპანი"-ს მიერ, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია გაჯის წარმოების (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საწარმო განთავსებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე, მისგან სამხრეთით 4 კმ მანძილზე, საავტომობილო მაგისტრალიდან 250 მეტრში. მანძილი უახლოეს მოსახლემდე 900 მ, ხოლო სოფელ გაჩიანამდე 2 კმ-ია. საწარმო განთავსებულია 1600 $მ^2$ მიწის ნაკვეთზე, რომელიც შპს „გლგ კომპანი"-ს საკუთრებაა. ტერიტორია შემოღობილი არ არის. საწარმოს ტერიტორია წარმოადგენს ვაკეს, რომელიც დასავლეთიდან შემოფარგლულია მშრალი ხევით. მიმდებარე ტერიტორიაზე ხე–მცენარეები წარმოდგენილი არ არის. მხოლოდ საწარმოს დასავლეთით, ხევში შეიმჩნევა მეჩხერი ბუჩქნარი. საწარმოს აღმოსავლეთით 270 – 300 მეტრში სოფლის სავარგულებია.

საქმიანობის მიზანია წელიწადში დაახლოებით 21600 ტონა გაჯის წარმოება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 1998 წელს გაცემული იქნა გარემოსდაცვითი ნებართვა საწარმოს საქმიანობაზე, კერძოდ „გაჯის საამქროზე წარმადობით 6000 ტონა წელიწადში". წარმადობის გაზრდის მიზნით საწარმოში განხორციელდა ორივე მბრუნავი საშრობი ღუმელის შეცვლა და შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების შეცვლა.

საწარმოს სიმძლავრეა 6 ტ/სთ გაჯის წარმოება. დღის განმავლობაში შესაძლებელია 72 ტონა გაჯის წარმოება. საწარმოს მუშაობის რეჟიმია დღეში 12 საათი, აღნიშნული რეჟიმი დამოკიდებულია გაჯის მოთხოვნილებაზე. საწარმო წელიწადში იმუშავებს 300 დღე 12 საათიანი სამუშაო რეჟიმით. საწარმოში დასაქმებულია 28 ადამიანი. მათგან 6 ინჟინერ–ტექნიკური პერსონალია.

საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად შექმნილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა. გაჯის საწარმო შედგება შემდეგი უბნებისაგან: ნედლეულის მიმღები უბანი, გაჯის გამოწვის უბანი, პროდუქციის მიმღები უბანი და სასაწყობე მეურნეობა.

საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობილობებია:

–საშრობი დოლი – 2 ცალი; 1 – 2,5 ტ/სთ და 1 – 3,5 ტ/სთ წარმადობით;

–ლენტური ტრანსპორტიორი – 2 ცალი;

–ნედლეულის მიმღები ბუნკერი – 2 ცალი;

–გამწმენდი დანადგარი – СЦН-40 ტიპის ციკლონი -2 ცალი;

–შემბერი და გამწოვი ვენტილატორი – 2 ცალი;

–ავტოთვითმცლელები, ბულდოზერი და სხვა მოძრავი საშუალებანი;

ტექნოლოგიური რეგლამენტით 1 ტ. გაჯის საწარმოებლად გათვალისწინებულია 35$მ^3$ ბუნებრივი აირი და 1,15 ტონა თიხა–თაბაშირი. წლიურად ნედლეულის მოთხოვნილება იქნება 21600 ტ x 1,15ტ = 24840 ტ.

გზშ-ს ანგარიშის თანახმად პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულს (თიხა) საწარმო შემოიტანს ახლომდებარე ლიცენზირებული კარიერიდან (რუსთავის თიხის საბადოდან), აღნიშნული უმთავრესად შედგება კალციუმის სულფატებისგან, ნაწილობრივ კი კალციუმ-მაგნიუმის სულფატებისა და კარბონატებისგან, ნატრიუმ-კალიუმის ალუმოსილიკატთა და რკინის ნაერთთა მცირე მინარევებთან ერთად. ნედლეულის შემოტანა მოხდება ავტოთვითმცლელებით.

ტექნოლოგიური პროცესების თანამიმდევრობა მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: ავტოთვითმცლელებით შემოზიდული ნედლეული (თიხა-თაბაშირი) იყრება გაჯის საწარმოს მიმღებ მოედანზე, საიდანაც ბულდოზერის საშუალებით მიეწოდება

ნედლეულის მიმღებ ბუნკერებს. ბუნკერებიდან ნედლეული ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით ჩაიტვირთება მბრუნავ ღუმელების მიმღებ სექციაში, რომლებიც გახურებულია და მზადაა შრობის პროცესისათვის. გამოწვის პროცესი იმართება დისტანციურად. მბრუნავი ღუმელებიდან მზა პროდუქცია გადადის ვერტიკალურ რეზერვუარში, საიდანაც დრეკადი სახელურის მეშვეობით დაფასოვდება და შეინახება დახურულ საწყობში.

გაჯის საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ძირითადი ზეგავლენა მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერზე. გზშ-ს ანგარიშის თანახმად ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი გაზებისა და მტვრის გასაუვნებლებად გამოყენებულია მშრალი წმენდის СЦН-40 ტიპის ციკლონი, რომლის ეფექტურობა შეადგენს 95%–ს და რომელიც მავნე ნივთიერებების გაწმენდის მეთოდებისაგან დამოკიდებულებით მიეკუთვნებიან I ჯგუფს.

ანგარიშში შეფასებულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, კერძოდ, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, შესრულებულია მტვრის და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიში თითოეული წყაროდან და განსაზღვრულია მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები.

ანგარიშის თანახმად საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროებია:

- გაჯის გამოსაწვავი მბრუნავი ღუმელი 2,5 ტ/სთ წარმადობით;
- ნედლეულის ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლა;
- ნედლეულის გაჯის გამოსაწვავი ღუმელის ბუნკერში ჩაყრა;
- მზა პროდუქციის ბუნკერში გაჯის ჩაყრა;
- ავტოტრანსპორტში გაჯის ჩაყრა და გაჯის დაფასოვება;
- ნედლეულის საწყობი;
- ნარჩენების–კენჭების ბუნკერში ჩაყრა;
- ნედლეულის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება;
- გაჯის გამოსაწვავი მბრუნავი ღუმელი 3,5 ტ/სთ წარმადობით;
- ნედლეულის გაჯის გამოსაწვავი ღუმელის ბუნკერში ჩაყრა;
- მზა პროდუქციის ბუნკერში გაჯის ჩაყრა;
- ავტოტრანსპორტში გაჯის ჩაყრა და გაჯის დაფასოვება;
- ნედლეულის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება.

საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა არაორგანული მტვერი ($SiO_2$<20%), აზოტის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებაში მოყვანილი საანგარიშო მეთოდიკის შესაბამისად განხორციელებული მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ შესამაბის მნიშვნელობებს ობიექტიდან 500 მეტრის რადიუსის საზღვარზე და არც უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში (900 მ), ამიტომ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს: ბულდოზერი, თვითმცლელი და ნედლეულის გამოსაწვავი ღუმელი. გაჯის საწარმოს ფუნქციონირების დროს (პროდუქციის დამზადების ეტაპზე) ხმაურის გავრცელების გაანგარიშებები ჩატარებულია ხმაურის გამომწვევი სამივე წყაროს (ბულდოზერის, თვითმცლელის და გამოსაწვავი ღუმელის)

ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში. საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ბგერის ექვივალენტური დონის განსაზღვრისას გათვალისწინებულია საწარმოსა და დასახლებულ პუნქტს შორის, ბუნებრივი ეკრანის სახით არსებული ბორცვი, რაც ამცირებს ხმაურის გავრცელების დონეს. გათვლების მიხედვით საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ხმაურის დონე საანგარიშო წერტილთან არ აღემატება ნორმირებულ სიდიდეს.

საწარმოში წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის. ტექნოლოგიურ პროცესში წყალი არ გამოიყენება.

სასმელი წყალი საწარმოში შემოიზიდება ცისტერნებით და ისხმება სამარაგო რეზერვუარში. საწარმოში მოწყობილი არ არის საშხაპე. წყალი გამოიყენება მხოლოდ სანიტარული კვანძისა და ხელსაბანად. წყლის ხარჯი შეადგენს 378 $m^3$/წელიწადში. სანიტარული კვანძი მოწყობილია წყალგაუმტარ ორმოზე, რომელიც პერიოდულად იწმინდება ასენიზაციის მანქანით.

როგორც ანგარიშშია მითითებული საწარმოს ტერიტორია არ ბინძურდება სპეციფიკური ნივთიერებებით. ტერიტორიაზე არ ხდება ნედლეულის ღია სახით დასაწყობება. მზა პროდუქცია შეინახება დახურულ საწყობში და კონტეინერები იხურება ჰერმეტულად. შესაბამისად სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გაწმენდას არ საჭიროებს.

საწარმოში წარმოიქმნება როგორც საყოფაცხოვრებო, ისე საწარმოო ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერებში, რომელიც შემდგომ გაიტანება საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელზე შესაბამისის ხელშეკრულებით.

საწარმოო ნარჩენს წარმოადგენს გაჯის გაცხრილვის შედეგად წარმოქმნილი კენჭები, რომელიც გროვდება საწყობში.

გზშ-ს ანგარიშის თანახმად აღნიშნული ნარჩენი ხელშეკრულების საფუძველზე საწარმოდან უზრუნველყოფენ ახლომდებარე საწარმოები და გამოიყენება სამშენებლო მასალების წარმოებაში შემავსებლად.

საწარმოში დანადგარების სარემონტო სამუშაოების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას ლითონის ჯართი, რომელიც პერიოდულად გაიტანება ჯართის მიმღებ პუნქტებში.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული საწარმოს ტერიტორიაზე არ ხდება მოძრავი ტრანსპორტის რემონტი და საწვავ საპოხი მასალებით გამართვა. შესაბამისად სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია საკვლევი რაიონის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი, ბუნებრივი ფონური მონაცემები, კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები, გეოლოგიური პირობები. განხილულია ნიადაგები, სეისმური პირობები და ბიომრავალფეროვნება. საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას.

გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის შედეგად შესაძლო ავარიული სიტუაციების ალბათობის განსაზღვრა და მათი მოსალოდნელი შედეგების ანალიზი, ავარიული სიტუაციების სცენარები და ლიკვიდაციის გეგმა.

გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისა და თავიდან აცილების გზები. წარმოდგენილია საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტების მიერ გამოვლენილი პირობები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

# III. პირობები

**შპს „გლგ კომპანი“-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია**

1. საწარმოს ექსპლუატაცია უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, მონიტორინგის გეგმის, შემარბილებელი ღონისძიებებისა და ვალდებულებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
2. უზრუნველყოს “ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში” წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
3. წელიწადში ორჯერ უზრუნველყოს ინსტრუმენტალური გაზომვების ჩატარება მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროებზე და შედეგები წარმოადგინოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში;
4. უზრუნველყოს საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და მათი გადაცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე;
5. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, კერძოდ, ხმაურის გამომწვევი სამივე წყაროს (ბულდოზერის, თვითმცლელის და გამოსაწვავი ღუმელის) ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში უზრუნველყოს ხმაურის დონის მონიტორინგის წარმოება საწარმოდან უახლოესი დასახლების საზღვარზე და შესაბამისი მონაცემების აღრიცხვა. ნორმის გადაჭარბების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება ხმაურის დონის ნორმასთან შესაბამისობაში მოსაყვანად;
6. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში ნებართვის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

შენიშვნა: გზშ-ს ანგარიშში მითითებული ყველა შემარბილებელი ღონისძიებების ასევე დასკვნებისა და რეკომენდაციების შესრულების და მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება ეკისრება საქმიანობის განმახორციელებელს.

# IV. დასკვნა

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, შპს „გლგ კომპანი"-ს მიერ, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გაჯის წარმოების (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობებით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

<u>თამარ შარაშიძე</u>
(სახელი, გვარი)

_____ ბ.ა.
(ხელმოწერა)

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N000127

კოდი MD1 „26" „01" 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „გოლდ კომპანი"

2. საქმიანობის მიზანი
ოქროს წარმოება (ექსპლუატაციის ნარჩენების გადამუშავება)

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. [illegible]

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
შპს „გოლდ კომპანი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №3; 22.01.2015.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი
თამარ [illegible]

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაზადონი +"
სკს-ს რეგისტრაციის N 26-4034

# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060189634762516

## ბრძანება №-87

ქ. თბილისი **15** / თებერვალი / **2016** წ.

### შპს „გლგ კომპანი“–ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ოსტატის სახლი“–ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „გლგ კომპანი“–ს გაჯის წარმოებაზე (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა; გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „ოსტატის სახლი“–ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2015 წლის 22 იანვრის №3 დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გლგ კომპანი“–სა და შპს „ოსტატის სახლი“–ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „გლგ კომპანი“–ზე 2015 წლის 26 იანვარს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000127;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გლგ კომპანი“–სა და შპს „ოსტატის სახლი“–ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. № 6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000195

კოდი MD1 „15" „02" 2016

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „თბილისის სატრო"

2. საქმიანობის მიზანი
ფოლადის წარმოება (ელექტროგადამცემის ანძების ტრავერსი)

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
შპს „გამა კონსალტი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №3; 22.01.2015.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
(გვარი, სახელი, თანამდებობა) დეპარტამენტის უფროსი
თამარ ქიტიაშვილი

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034